ქართველთა სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღია დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 53

შაბათი, 22 ოქტომბერი 1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განუსაზღვრელად დამწუხრებულნი მშობლები: პელაგია და დიმიტრი ბზიაევები და ძმანი მათნი ლავთიკო და საშა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ოქტომბრის 25-ს სამშაბათს, დღისით 12 საათზე გარდახდილი იქნება ორმოცი დღის განსვენების წირვა და ნაშუადღევის ოთხ საათზე პანაშვიდი დიდუბის ეკლესიაში მათი ძვირფასის

მეგის

სულის მოსახსენებლად. 29

## განცხადება

გაზ. „ტრიბუნის“ კანტორისათვის საჭიროა გაზეთის გამყიდველები.

## დეკრეტი ოთხმოც და მესამე ნომრით

ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი ჯერ კიდევ ვერ არის საჭიროდ გამართული, რომ პირნათლად და მიზანშეწონილად აასრულოს თავისი დანიშნულება. თეორიულად საბჭოთა რესპუბლიკა, პროლეტარიატის დიქტატურა ცნობილია თავისი მოქნილობითა და ელასტიურობით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ორგანიზაციის შინაგანი წყობილება და მთელი მისი სტრუქტურა ცხოვრების ვითარებასთან არის შეწონილი და ყოველი მისი მოქმედება თავისუფალია ბიუროკრატიულ სენისაგან. ჩვენდა საუბედუროდ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ წყობილების შესახებ, ჯერ-ჯერობით ამის თქმა არ შეგვიძლია. ჩვენი რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანიზაციებს აკლიათ საჭირო მოქნილობა და ზედმეტი ბიუროკრატიზმის ტკივილებით არის დასნეულებული. საკანონმდებლო ორგანოებით თითქოს მოსწყდა ცხოვრების ვითარებას, აღმასრულებელ აპარატის საწინააღმდეგო მოქმედებით და მისი საქმიანობა მხოლოდ დეკრეტების წერით შემოისაზღვრა.

არის ისეთი შემთხვევები, როდესაც რამოდენიმეჯერ იცემა ერთი და იმავე შინაარსის დეკრეტები, დადგენილებანი და განკარგულებანი, მათი კონკრეტიულად გატარება და რეალური ხორცის შესხმა შეუძლებელი შეიქმნა. დეკრეტი მხოლოდ ქაღალდზე იქმნა აღნიშნული. სათანადო პირის ხელის მოწერით და მისგან რეალური ნაყოფი ვერვინ იხილა. ამის შესახებ ჩვენ ფაქტების მთელი რიგი შეგვეძლო მოგვეყვანა, მაგრამ რამოდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდებით. რამოდენიმეჯერ იყო გამოცემული დეკრეტები და ბრძანებები ჩვენი რევკომისა, დაწესებულებათა გაეროვნების შესახებ. აბა შეიარეთ ჩვენს დაწესებულებაში; გაეროვნების ნაცვლად საწინააღმდეგო მოვლენებს ვხედავთ და მრავალ ჩვენს დაწესებულებებიდან ქართული ენა განდევნილია. რად ხდება ეს? დეკრეტის ასრულება ისეთ პირებს უვარდებათ ხელში, რომელთაც ასეთი პოლიტიკის არაფერი სჯერათ და მისი არსებითად წინააღმდეგია. ჩვენი დაწესებულებები უცხო ელემენტებით არის ავსებული და გაეროვნების პოლიტიკა მათ ხელიდან აცლის გემრიელს ლუკმას. ამიტომ გაეროვნების პოლიტიკას საპროტესტოთ ეწინააღმდეგება და დეკრეტებს მაგიდის უჯრებში ჰკეტს მზის უნახავად. ავიღოთ აგრეთვე ქალაქის განტვირთვის საქმე. დეკრეტები და შესაფერი ორგანოები მრავალ ჯერ იყო მზათ, მაგრამ ქალაქი კიდევ სავსე არის ზედმეტი ელემენტებისაგან და სპეკულიანტებისაგან, რომელნიც ისედაც გამწვავებულ ბინის კრიზისის დროს მშვენიერ ბინებში არიან გამოჭიმულნი. ეს ზედმეტი ბარგი არა პირდაპირ აწევს თავზე ჩვენს ხალხს საარჩენათ, და ანადგურებს მისს დოვლათს და ქმნის სასურსათო კრიზისებს.

ამ გვარად დაწესებულების გაეროვნების ნაცვლად მივიღეთ საწინააღმდეგო შედეგები, ქალაქის განტვირთვის დეკრეტებმა ქალაქის ზედმეტად დატვირთვა მოგვცა.

რა არის ამის მიზეზი, რა უშლის ხელს საკანონმდებლო დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას? ცხადია, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის რაღაც თითქოს გარდაუვალი ზღუდე სძევს, რომელიც არ აძლევს საშუალებას გამოცემული დეკრეტი ცხოვრებას შეუფარდოს. საბჭოთა სისტემის დროს ასეთი დაპირისპირება და თითქმის გაყოფა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებისა არ შეიძლება არსებობდეს. საბჭოების სტრუქტურა და მთელი მისი აპარატის შენობა იმ გეგმით არის აგებული, სადაც საქმიან შემოქმედებასა და მიზანშეწონილ მოღვაწეობას აქვს ადგილი. ერთი დიდი და აღსანიშნავი თვისება ბიუროკრატიული ავადმყოფობისა სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში ის არის, როდესაც აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოთა შორის გარდუვალ წინააღმდეგობათა ზღუდე აღმართულა და ცალ-ცალკე გზებით მიდიან თავიანთ საქმიანობის დროს.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის, მუშურ-გლეხური რესპუბლიკის გაჯანსაღებისა და მისი მიზანშეწონილად მიმართვის საჭიროება მოითხოვს ასეთი წინააღმდეგობის დაძლევას, შემაფერხებელ ზღუდეების დარღვევას და აღნიშნულ ფუნქციების შეფარდებულ მოქმედებას; მაშინ სახელმწიფო აპარატი განიკურნება ბიუროკრატიულ სენისაგან და მის საქმიანობას უფრო ელასტიური და მოქნილი ხასიათი მიეცემა.

მაგრამ გარდა ამ დიდი თვისებისა ჩვენებური ბიუროკრატიზმის დამახასიათებელი ნიშნები სხვა მრავალიც არის, რომელნიც თხოულობენ გაქნილი დოსტაქრის ხელს, რომ ერთხელ და სამუდამოთ განვკურნოთ ჩვენი რესპუბლიკა სამწუხარო ავადმყოფობისაგან. თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებს და გავეცნობით მათ საქმიანობასა და წარმოებას, ჩვენს წინ მეტად სამწუხარო სურათი გადაიშლება. მთელი დაწესებულების სტრუქტურა და მისი საქმის წარმოება იმდენად დატვირთულია ზედმეტი ბარგით, რომ ბიუროკრატიზმის საშინელი სენი თავისი ბაცილებით, თითქოს ყოველ მაგიდასთან გამჯდარა და ავადმყოფობის სიზანტით ასნეულებს საქმის წარმოებას. უბრალო მაგალითი ავიღოთ: ერთმა უბრალო ქაღალდმა რომ სათანადო დანიშნულებამდი მიაღწიოს, საჭირო ხდება რამოდენიმე პირის ხელში გაიაროს, რამოდენიმე დავთარში ჩაიწეროს, რამოდენიმე წარწერა და ბეჭედი დაიკრას და სხვა მრავალი ასეთი პროცედურები იქმნეს შესრულებული. ყოველივე ეს იმდენათ ამძიმებს დაწესებულებათა მუშაობას, იმდენათ აჩნია მას მოქნილობისა და სიჩქარის, საქმის საჭირო დროზე შესრულების შესაძლებლობას, რომ ზოგი ერთი დაწესებულება განსაკუთრებით დაპლექიანებული ადამიანის საქმიანობას ემსგავსება, მაშინ როდესაც საჭიროა ამოძრავებული ტემპითა და სიჩქარით მოღვაწეობა. დღევანდელს პირობებში დაწესებულებათა ასეთი სიზანტე, როცა ცხოვრება აჩქარებულის სიძლიერით მოძრაობს და იცვლება, ყოვლად დაუშვებელია და ძლიერ აფერხებს წინმსვლელობას ჩვენი სახელმწიფო საქმიანობის და ჰქმნის ბიუროკრატიზმს.

საბჭოთა სისტემამ ჩვენში ისეთი პირობები შეჰქმნა, რომ ქალაქის მცხოვრებთ უსაქმოდ ცხოვრება არ შეუძლიათ ქალაქებში, ამიტომ ყოველი მათგანი სცდილობს რომელიმე დაწესებულებებში შეყოს თავი და იქ მოიკალათოს. ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენი დაწესებულების ზედმეტი თანამშრომლებისაგან დატვირთვა, რომელნიც არსებითად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენენ და ურომლისოდაც დაწესებულებათა საქმიანობა უფრო მოიგებდა. ამ გარემოებას მრავალჯერ მიაქციეს ყურადღება, მაგრამ დაწესებულებათა შტატების შემოკლება და მისი მიზანშეწონილად მოწყობა შეუძლებელი შეიქმნა. დღესაც ჩვენ ვდგევართ ისეთი ფაქტის წინაშე, რომელიც ძლიერ სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს და რომელიც თხოულობს დაუყონებლივ ზომებს. საქართველოს რევკომმა თავის დადგენილებით (№ 83) შეჰქმნა დაწესებულებათა და წარმოებათა შტატების შემამცირებელი კომისიები. რასაკვირველია ასეთი კომისიების დაარსება მეტად საჭიროა, მაგრამ ვეჭვიანობთ, წინანდელი ისტორიები არ განმეორდეს და ისევ სამწუხარო ფაქტის წინაშე არ დავრჩეთ მდგარი.

ჩვენს დაწესებულებებს გაჯანსაღება ესაჭიროება. ახალ მოდის ბიუროკრატიზმი ისეთი დიდი სენი არის საბჭოთა რესპუბლიკასათვის, რომ ყოველი ზომა უნდა ვიღონოთ მის აღმოსაფხვრელად და მოსასპობათ. დაწესებულებათა შტატების შემცირებასთან ერთად უნდა მოხდეს არსებითი რეორგანიზაცია მათი და ახალ საფუძვლებზე მოწყობა.

სამ. ხუნდაძე.

## საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

ა. წ. ოქტომბრის 30 ს.

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარი კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. თედო ღლონტი.
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა—ფაკულტეტიური მოხსენება—პროფ. შ. ნუცუბიძე.
6. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
7. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
8. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
9. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ. სერგო ამაღლობელი.
10. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.
11. მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე 23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთს დელეგატს.

ყრილობა გაიხსნება პარტიის ცენტრალურ ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქუჩა № 1) საღამოს სრულ 7 საათზე.

# ხელშეკრულება

**სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან,**

მთავრობანი სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა, აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკისა ერთის მხრით, და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა მეორეს მხრით, იზიარებენ რა ერთა ძმობის პრინციპს და სცნობენ რა ყოველი ხალხისთვის თვით გამორკვევის უფლებას, გამსჭვალულნი სურვილით, რომ მათ შორის დადგენილ იქმნეს მუდმივილი მეგობრული ურთიერთობა და განუწყვეტელი გულწრფელი მეგობრობა, დამყარებული ურთიერთ ინტერესებზე, შეუდგნენ მოლაპარაკებას, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობით, რათა დასდონ ხელშეკრულება და ამ მიზნით დანიშნეს თავიანთი რწმუნებულებად:

სომხეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ასკანაზ მრავიანი, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი, და პოღოს მაკინციანი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

აზერბეიჯანის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: ბეჰბუთ შახტახტინსკი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: შალვა ელიავა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი, და ალექსანდრე სვანიძე, გარეშე საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარი.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობამ: კაზიმ კარა ბექირ ფაშა, ადრიანოპოლის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში, აღმოსავლეთ ფრონტის სარდალი.

ველი-ბეი, ბურდურის დეპუტატი დიდ ეროვნულ ყრილობაში.

მუხთარ-ბეი, საზოგადო საქმეთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი.

მემდუხ-შევქეთ-ბეი, ოსმალეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აზერბეიჯანში.

რუსეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ: იაკობ განეცკი, რ. ს. ფ. ს. რ.—ის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში,

რომელნიც უფლება მოსილობის საბუთების გაცვლის შემდეგ, რაიცა სათანადო და კანონიერ ფორმით შესრულებულად იქმნა ცნობილი, შეუთანხმდნენ შემდეგზე:

### მუხლი 1.

ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა და სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ გაბათილებულად და ძალა დაკარგულად ყველა ხელშეკრულებებს, რომელნიც დადებული იყო იმ მთავრობათა მიერ, რომელნიც წინათ ახორციელებდნენ სუვერენიტეტს ხელშემკვრელ მხარეების ტერიტორიაზე, და რომელი ხელშეკრულებანიც ეხებოდა ხსენებულ ტერიტორიებს; აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომელნიც დადებული იყო მესამე სახელმწიფოებთან და შეეხებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს.

აღიარებულია, რომ რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1921 წ. (1337) წლის 16 მარტს, ამ მუხლის მოქმედებას არ ექვემდებარება.

### მუხლი 2.

ხელშემკვრელი მხარეები სთანხმდებიან არა სცნონ არავითარი საზავო ხელშეკრულება ან სხვა გვარი საერთაშორისო აქტი, უკეთუ მის მიღებას ძალით აიძულებენ რომელსამე ხელშემკვრელ მხარეს.

ამის ძალით სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკათა მთავრობანი სთანხმდებიან, არ სცნონ არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ოსმალეთს შეეხებიან და არ არიან ცნობილნი ოსმალეთის ეროვნული მთავრობის მიერ, რომელსაც ამ ჟამად მისი დიდი ეროვნული ყრილობა წარმოადგენს.

ამ ხელშეკრულებაში ოსმალეთად იგულისხმება ტერიტორიები, განსაზღვრული 1920 (1336) წლის 28 იანვრის ოსმალეთის ეროვნულ შეთანხმებაში, რომელიც შემუშავებული და გამოცხადებული იყო ოტტომანთა დეპუტატების პალატაში კონსტანტინოპოლში და რომელიც ეცნობა პრესას და ყველა სახელმწიფოებს.

თავისი მხრით ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა სთანხმდება, არ სცნოს არავითარი საერთაშორისო აქტები, რომლებიც ეხებიან სომხეთს, აზერბეიჯანს და საქართველოს და არ არიან ცნობილნი ამ რესპუბლიკათა სათანადო მთავრობათა მიერ რომელთაც დღეს სომხეთისა და აზერბეიჯანის და საქართველოს საბჭოთა მთავრობანი წარმოადგენენ.

### მუხლი 3.

სომხეთის, აზერბეიჯანის და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი სცნობენ, რომ კაპიტულიაციის რეჟიმი არ შეეფერება არც ერთი ქვეყნის თავისუფალ ეროვნულ განვითარებას და აგრეთვე მის სუვერენულ უფლებების სრულ განხორციელებას და ძალა დაკარგულად და გაუქმებულად მიაჩნიათ ყოველგვარი მოქმედებანი და უფლებანი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამ რეჟიმთან.

### მუხლი 4.

ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი (რუსეთის გენერალური შტაბის რუქით 1,210,000—5 ვერსი 1 დიუიმზე) განისაზღვრება ხაზით, რომელიც იწყება შავი ზღვის პირას მდებარე სოფელ სარფიან, გაივლის მთა ხედისმთაზე, წყალთა გამყოფი ხაზით მთა შავშეთი—მთა კანი დაღი, იგი მიჰყვება შემდეგ წინანდელ ჩრდილოეთ ადმინისტრატიულ საზღვარს არტაანის და ყარსის ოლქებისას—ქარინარე არფაჩაისა და არაქსის ტალვეგზე ქვემო ყარასუს შესართავამდე (დაწვრილებითი აღწერა საზღვრისა და მასთან დაკავშირებული კითხვები განსაზღვრულია დანართებში I და II, და თანდართულ რუქაზე, რომელიც ხელმოწერილია ორივე ხელშემკვრელი მხარეებისაგან. უკეთუ ხელშეკრულების ტექსტსა და რუქას შუა აღმოჩნდება განსხვავება, ხელშეკრულების ტექსტს ეძლევა რუქის წინაშე უპირატესობა). შერეულ სასაზღვრო კომისიას, რომელიც შემდგარი იქნება წევრების თანაბარი რიცხვებისაგან, რ. ს. ფ. ს. რ.-ის წარმომადგენლის მონაწილეობით, ევალება გაარკვიოს დაწვრილებით და ადგილობრივ გაატაროს სახელმწიფოს საზღვარი, და აგრეთვე დასდვას მიჯნები. (დანართი IV რუქა.)

### მუხლი 5.

ოსმალეთის მთავრობა და აზერბეიჯანისა და სომხეთის საბჭოთა მთავრობანი, სთანხმდებიან, რომ ნახიჩევანის მხარე, იმ საზღვრებში, რომელიც აღნიშნულია ამ ხელშეკრულების მე-3 დანართში, შეადგენს ავტონომიურ ტერიტორიას აზერბეიჯანის მფარველობის ქვეშ.

### მუხლი 6.

ოსმალეთი სთანხმდება დაუთმოს საქართველოს სუვერენიტეტი ბათომის ნავთსადგურსა და ქალაქზე, და იმ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლში ნაჩვენებ საზღვრის ჩრდილოეთით და რომელიც შედიოდა ბათომის ოლქში, იმ პირობით, რომ 1) მოსახლეობა იმ ადგილებისა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლში, ისარგებლებს ფართო ადგილობრივი ავტონომიით ადმინისტრატიულის მხრით, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული თემის კულტურული და სარწმუნოებრივ უფლებებს და რომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება დაადგინოს ისეთი სადგილმამულო კანონი, რომელიც ეთანხმება მის სურვილებს; 2) ოსმალეთს მიეცემა თავისუფალი ტრანზიტი ყოველგვარი საქონლის, რომელიც იგზავნება ოსმალეთში ან ოსმალეთიდან ბათომის ნავთსადგურის გზა თუ უბაჟოთ, რაიმე დაბრკოლების აღმოუჩენლად და რაიმე ხარჯებით დაუბეგრავათ, და ოსმალეთს მიეცემა უფლება ისარგებლოს ბათომის ნავთსადგურით სპეციალი ხარჯების გადაუხდელად.

ამ მუხლის ცხოვრებაში გასატარებლად, ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ დაუყონებლივ, შესდგება კომისია ორივე დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებისაგან.

### მუხლი 7.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა ვალდებულებას ღებულობენ გაუადვილონ მოსაზღვრე ოლქების მცხოვრებლებს საზღვარზე გადასვლა იმ პირობით, რომ დაცულ იქნება შეღავათიანი საბაჟო, საპოლიციო და სანიტარული წესები; რომელთაც ამ საგნისთვის შეიმუშავებს შერეული კომისია.

### მუხლი 8.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობა, იღებენ რა მხედველობაში, რომ ორივე მხარის სანაპირო ოლქების მცხოვრებთათვის აუცილებელია საძოვ-

